

## რა უნდა ვიცოდეთ ელექტრონულ სიგარეტზე ???



სწრაფი ფაქტები ელექტრონული სიგარეტის შესახებ<sup>1</sup>:

- ელ.სიგარეტები არის ყველაზე მოხმარებადი თამბაქოს პროდუქტი ახალგაზრდებში, და მისი მოხმარება აღწევს საგანგაშო მაჩვენებელს. 2018 წელს, უმაღლესი სკოლების მოსწავლეთა 21%-მა და საშუალო სკოლის მოსწავლეთა 5%-მა განაცხადა, რომ მოიხმარენ ელ.სიგარეტს ბოლო 30 დღის განმავლობაში. ეს 1.5 მილიონით ზრდის მომხმარებელთა რიცხვს ახალგაზრდებში 2017-2018 წელს.<sup>i</sup>
- ახალგაზრდები რომელმაც მოიხმარენ ელ.სიგარეტს, დიდი ალბათობით არიან სიგარეტის ან თამბაქოს სხვა პროდუქტის მომხმარებლები.<sup>ii iii</sup>
- ელ.სიგარეტი შეიცავს სითხეს, რომელიც როგორც წესი არომატიზებულია. არომატები, რომლებიც მიმზიდველია ბავშვებისთვის, შეიძლება შეიცავდეს ხილის გემოებს, ტკბილეულს, ყავას, პინა კოლადას, მენტოლს, სალექ რეზინს ან შოკოლადს. თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ მეტ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ იყენებს თამბაქოს უნდუსტრია არომატებს და დანამატებს, რათა ჩაითრიოს ბავშვები თამბაქოს პროდუქტების მოხმარებაში, ანგარიშში - “The Flavor Trap,” რომელიც გამოსცა ამერიკის პედიატრთა ასოციაციამ და 4-მა პარტნიორმა ორგანიზაციამ.
- ელ.სიგარეტი შეიცავს ქიმიურ ნივთიერებებს (ie, anti-freeze, diethylene glycol, and carcinogens like nitrosamines).<sup>iv</sup>

<sup>1</sup> <https://www.aap.org/en-us/advocacy-and-policy/aap-health-initiatives/Richmond-Center/Pages/Electronic-Nicotine-Delivery-Systems.aspx>

- ელ.სიგარეტის მოწყობილობა იმეორებს ტრადიციული სიგარეტის მოხმარების ქესტებს და ხელს უწყობს მოწვევის ქცევით რე-ნორმალიზაციას.
- ელ.სიგარეტი არ არის აღიარებული მოწვევის შეწყვეტის საშუალებად, და მისი მოხმარების გრძელვადიანი შედეგები ჯანმრთელობაზე ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული. ელ.სიგარეტის მოწყობილობაში, სხვადასხვა ბრენდის მიხედვით, ქიმიური შემცველობები შეიძლება განსხვავდებოდეს.<sup>v</sup>
- ელ.სიგარეტის და შევსებადი პაკეტების ელ.სითხემ შესაძლოა დააზიანოს კანი, გამოიწვიოს ნიკოტინით მოწამლვა. ნიკოტინით მოწამვლის სიმპტომები მოიცავს ღებინებას, ოფლიანობას, თავბრუსხვევას, გულისცემის აჩქარებას, ლეტარგიას, კრუნჩხვებს და სუნთქვის გართულებას.<sup>vi</sup>
- 2014 წელს, აშშ-ის მოწამვლის ცენტრებში დაფიქსირდა ელ.სიგარეტით და ნიკოტინის სითხით გამოწვეული მოწამვლის 3,783, რაც ორჯერ მეტია 2013 წლის 1,543 შემთხვევის. ხოლო 2015 წელს დაფიქსირდა 3,073 შემთხვევა.<sup>vii</sup>
- აშშ-ის რამდენიმე შტატმა მიიღო კანონმდებლობა, რომელიც ითხოვს ელ.სიგარეტებსა და სითხეებზე ბავშვებისთვის გაფრთხილებების დატანას, ხოლო ეროვნულ დონეზე კანონპროექტს ხელი მოაწერა პრეზიდენტმა ობამამ 2016 წელს.
- ელ.სიგარეტის მოხმარებლებმა ელ.სიგარეტი და ნიკოტინის სითხე ყოველთვის ჩაკეტილ მდგომარეობაში უნდა ატარონ და მოარიდონ ბავშვებს, და აუცილებლად მოიხმარონ მის შეფუთვაზე დატანილი სპეციალური ინსტრუქციის შესაბამისად<sup>viii</sup>
- 2016 წელს, აშშ გენერალურმა ქირურქმა ვივეკ მერტიმ MD MBA გამოაქვეყნა ანგარიში „ელ.სიგარეტის მოხმარება ახალგაზრდებსა და მოზარდებში: გენერალური ქირურგის ანგარიში.“ ანგარიშის დასკვნაში მითითებულია, რომ ახალგაზრდებმა არ უნდა მოიხმარონ ელ.სიგარეტი მისი ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის გამო, ასევე ელ.სიგარეტის აეროზოლის მეორადი კვამლის გამოფრქვევის სხვების ჯანმრთელობაზე ზეგავლენის გამო.<sup>ix</sup>

#### ამერიკის პედიატრთა ასოციაციის რესურსები ელ.სიგარეტზე:

- ვეიპინგი, JUUL და ელ.სიგარეტების პრეზენტაციის სახელმძღვანელო - <https://www.aap.org/en-us/advocacy-and-policy/aap-health-initiatives/Richmond-Center/Pages/vaping-juul-e-cigarettes-toolkit.aspx>

შეიცავს powerpoint პრეზენტაციებსა და სხვა რესურსებს ე.წ. ვეიპინგის, JUUL-ის და ელ.სიგარეტების შესახებ. ამ მასალის გამოყენება შეუძლიათ AAP წევრებსა და თამბაქოს კონტროლის ადვოკატებს grand round-ებისა და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. PPT-ის რედაქტირებადი ვერსიის მისაღებად, გთხოვთ დაუკავშირდეთ Richmond Center-ს.

- JUULing: რა უნდა იცოდნენ პედიატრებმა და ოჯახებმა <https://www.aap.org/en-us/Documents/AAP-JUUL-Factsheet.pdf>

- 4 რამ რაც უნდა იცოდეს მშობელმა JUUL-ისა და ნიკოტინ-დამოკიდებულების შესახებ <https://truthinitiative.org/news/4-things-parents-need-know-about-juul-and-nicotine-addiction>  
ეს სტატია შედგენილია ამერიკის პედიატრთა ასოციაციისა და Truth Initiative-ის თანამშრომლობით. ის შეიცავს ინტერვიუს Dr. ჯუდი გრონერთან, ასოციაციის თამბაქოს კონტროლის ხელმძღვანელთან და ეხება ელ.სიგარეტ JUUL-ის ძირითად გამოწვევებს.
- დამატებითი ინფორმაცია 2016 წელს გენერალური ქირურგის ანგარიშის შესახებ ელ.სიგარეტებზე: რა უნდა იცოდნენ ექიმებმა - [https://www.aap.org/en-us/advocacy-and-policy/aap-health-initiatives/Richmond-Center/Documents/Understanding\\_the\\_2016\\_SGR\\_Fact\\_Sheet.pdf](https://www.aap.org/en-us/advocacy-and-policy/aap-health-initiatives/Richmond-Center/Documents/Understanding_the_2016_SGR_Fact_Sheet.pdf)
- ამერიკის პედიატრთა ასოციაციის პოლიტიკის განცხადება : ელ.სიგარეტები და მსგავსი მოწყობილობები - <http://pediatrics.aappublications.org/content/143/2/e20183652>
- ელექტრო სიგარეტის შესახებ FACT SHEET მშობლებისთვის - [https://downloads.aap.org/RCE/ENDShandout\\_Parents.pdf](https://downloads.aap.org/RCE/ENDShandout_Parents.pdf)  
ელ.სიგარეტის შემცველობა - ცნობარი მშობლებისთვის - <https://www.healthychildren.org/English/ages-stages/teen/substance-abuse/Pages/E-cigarettes.aspx>
- ფაქტები ელ.სიგარეტის შესახებ ექიმებისთვის - <https://www.aap.org/en-us/Documents/5AsENDSfactsheet.pdf> შედგენილია 5 დიდი სამედიცინო ორგანიზაციის მიერ: ამერიკის პედიატრთა აკადემია, ამერიკის ოჯახის ექიმთა აკადემია, ამერიკის ექიმთა კოლეჯი, ამერიკის მენ-გინეკოლგთა კონგრესი, და ამერიკის სამედიცინო ასოციაცია.
- ელ.სიგარეტის სახელმძღვანელო ექიმებისთვის - [https://downloads.aap.org/RCE/ENDShandout\\_Clinicians.pdf](https://downloads.aap.org/RCE/ENDShandout_Clinicians.pdf)

<sup>i</sup> Cullen, KA, Ambrose BK, Gentzke AS, Apelberg BJ, Jamal A, King BA. Notes from the Field: Increase in use of electronic cigarettes and any tobacco product among middle and high school students--United States, 2011-2018, *MMWR Morbidity and Mortality Weekly Report*. 2018;67(45)

<sup>ii</sup> Dutra LM, Glantz SA. Electronic cigarettes and conventional cigarette use among U.S. adolescents: a cross-sectional study. *JAMA Pediatr*. 2014;168(7):610–617pmid:24604023

<sup>iii</sup> US Department of Health and Human Services (2016). E-Cigarette Use Among Youth and Young Adults: A Report of the Surgeon General. Atlanta, GA. US Department of Health and Human Services, Centers for Disease Control and Prevention, National Center for Chronic Disease Prevention and Health Promotion, Office on Smoking and Health

<sup>iv</sup> American Academy of Pediatrics Section on Tobacco Control. Policy statement: Electronic Nicotine Delivery Systems. *Pediatrics*. 2015; 136(5):1018—1026.

<sup>v</sup> იქვე

<sup>vi</sup> იქვე

<sup>vii</sup> American Association of Poison Control Centers. January 31, 2016. [Electronic Cigarettes and Liquid Nicotine Data](#). Accessed February 10, 2016.

<sup>viii</sup> იქვე

